

სსსფ-ს სპორტული კოდექსის დანართი. სსსფ-ს ლიცენზიების გაცემის საერთო წესები.

სარჩევი:

- 1.1) საერთო დებულებები
- 1.2) ლიცენზიების გაცემა
- 1.3) სსფ (FIA)-ს წევრი სხვა ქვეყნის ესფ-სგან მრბოლელის ლიცენზიის მიღება
- 1.4) ეროვნული ლიცენზიის სახეობები, კატეგორიები და მიღების წესი
- 1.5) ეროვნული ლიცენზიების გაცემის ასაკობრივი ზღვრები
- 1.6) დაზღვევა
- 1.7) ლიცენზიის მოქმედების ვადა
- 1.8) ლიცენზიის ღირებულება
- 1.9) ლიცენზიის მოქმედების არეალი

1.1) საერთო დებულებები.

საავტომობილო სპორტის სფეროში ყველა სახის ლიცენზია გაცემა საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ სსსფ-ს სპორტული კოდექსის შესაბამისად. ყველა იმ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, რომელსაც გააჩნია სურვილი ლიცენზიის მიღებისა, უნდა მიმართოს სსსფ-ს. ფიზიკურ პირს არ გააჩნია უფლება, მონაწილეობა მიიღოს საავტომობილო შეჯიბრებაში, თუ მას არ აქვს აღებული შესაბამისი ლიცენზია გაცემული სსფ (FIA)-ს, სსფ (FIA)-ს წევრი რომელიმე ქვეყნის ესფ-ს ან სსსფ-ს მიერ. მრბოლელის, ეროვნული ლიცენზია გაცემა სსსფ-ს მიერ, ფიზიკური პირის განაცხადის განხილვის შემდგომ. საერთაშორისო ლიცენზიას გასცემს სსსფ, სსფ-ს სპორტული კოდექსის შესაბამისად.

მრბოლელის ლიცენზიის მიღება, ასევე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფსევდონიმის გამოყენებით. ერთი პირის მიერ ორი ფსევდონიმის გამოყენება დაუშვებელია. ლიცენზიის გაცემისა ან მისი აღდგენის ღირებულებას ადგენს სსსფ. ყველა ლიცენზია საჭიროებს ყოველწლიურ განახლებას.

დისკვალიფიკაცია ან დროებითი დისკვალიფიკაცია ლიცენზიის მფლობელისთვის იწვევს, სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში არსებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის დროებით ან მუდმივ აკრძალვას.

1.2) ლიცენზიების გაცემა

ლიცენზია წარმოადგენს სერტიფიკატს, რომელიც დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ და რომელიც შეიცავს სსსფ-ს დასახელებასა და სიმბოლიკას. ყველა ეროვნული ლიცენზია მოქმედებს მხოლოდ სსსფ-ს ან/და მის მიერ გაცემული ორგანიზატორის ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის მიერ გამართულ შეჯიბრებებზე.

1.3) სსფ (FIA)-ს წევრი სხვა ქვეყნის ესფ-სგან მრბოლელის ლიცენზიის მიღება

სხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციისგან მრბოლელის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია ნებართვის აღება სსსფ-ში. ნებართვა გაცემა მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, როდესაც მრბოლელს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთება იმ ქვეყანაში მუდმივი ყოფნის შესახებ, რომელშიც იმართება შეჯიბრებები ან/და წარმოადგინოს სხვა მიზეზი, რომელსაც სსსფ ჩათვლის არგუმენტად.

სსსფ-ს აქვს უფლება გასცეს ლიცენზია უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, თუ ეს პირი წარმოადგენს თავისი ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემულ საბუთს რომ ამ პირს არ გააჩნია არანაირი ლიცენზია და რომ ეს თანახმაა მიეცეს პირს სსსფ-ს ეროვნული ლიცენზია. ასევე იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყანაში, რომლიდანაც არის პირი, არ არსებობს სსფ-ს წევრი ესფ.

1.4) ეროვნული ლიცენზიის სახეობები, კატეგორიები და მიღების წესი

კოპილოტის (შტურმანის, კოდრაივერის, ნავიგატორის) კატეგორია:

EC - კატეგორია - სსსფ-ს მიერ ან/და მისი ეგიდით ორგანიზებულ საავტომობილო პროფესიონალურ რბოლებში, სადაც დაშვებულია შტურმანის (კოპილოტი, კოდრაივერი ან ნავიგატორი) მონაწილეობა, მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას. ლიცენზიის მისაღებად პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი

დოკუმენტები:

- მართვის მოწმობა;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (16 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების თანხმობა ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

მონაწილის ლიცენზია:

Competitor - კატეგორია - არის სსსფ-ს მიერ ან ეგიდით ორგანიზებულ ღონისძიებაზე წარმდგენი სუბიექტის დოკუმენტი. სსსფ-ს მიერ ან ეგიდით ორგანიზებულ ნებისმიერ სახეობაში შეიძლება არსებობდეს გუნდები, რომელიც მიიღებს ჩემპიონატში გუნდურ ჩათვლას. თითოეულ სახეობაში (კლასში), თითოეულ გუნდს შეიძლება ჰყავდეს მაქსიმუმ 2 (ორი) მრბოლელი. აღნიშნული ლიცენზიის გარეშე მრბოლელი ვერ დარეგისტრირდება კონკრეტულ შეჯიბრებაზე;

შენიშვნა: მრბოლელებს ან/და გუნდებს წარადგენს და არეგისტრირებს მხოლოდ მონაწილის ლიცენზიის მქონე იურიდიული ან ფიზიკური პირი. მონაწილის ლიცენზიის მქონე პირი შეიძლება იყოს როგორც მრბოლელი ან გუნდის წევრი, ასევე დამოუკიდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ერთ მონაწილეს შეუძლია დაარეგისტროს ერთი მრბოლელი ან სარბოლო გუნდი რბოლის ერთ კონკრეტულ სახეობაში. აღნიშნული ლიცენზიის მფლობელი შეიძლება წარმოადგენდეს რამოდენიმე პილოტს რბოლის სხვადასხვა სახეობაში.

დოკუმენტები:

- შესაბამისი განაცხადი გუნდის დასახელებისა და მისი შემადგენლობის მითითებით;
- განმცხადებელის პირადობის მოწმობა;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში განმცხადებელის პირადობის მოწმობა, იურიდიული პირის შემთხვევაში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი.
- გუნდში შემავალი სპორტსმენების პირადობის მოწმობის და მოქმედი ლიცენზიის ასლები;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ორგანიზატორის ლიცენზია:

ORG / (E, D, C, B, A) - კატეგორია - იურიდიული პირი, რომელიც ატარებს სსსფ-ს სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ სპორტულ ღონისძიებას ვალდებულია ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას;

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

- განაცხადი სსსფ-ის წევრად მიღების შესახებ (თუ არ არის სსსფ-ის წევრი);
- განაცხადი სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების შესახებ;
- ჩასატარებელი შეჯიბრების რეგლამენტი;
- ჩასატარებელი შეჯიბრების ტექნიკური მოთხოვნები;
- მიმღებმა უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო სარეგისტრაციო მოწმობა.

მწვრთვანელის ლიცენზია:

TR/S,C, R, J, D, Off-Road, N - კატეგორია - ფიზიკური პირი, რომელსაც სსსფ-სგან ეძლევა ნებართვა მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო კურსებში დამწყებ და მოქმედ მრბოლელებთან. ლიცენზია არის დასტური ამ პირის კვალიფიკაციისა კონკრეტული მიმართულებით. განაცხადის შემდგომი პირი უნდა იყოს სრულწლოვანი (18 წლის).

• **TR/S** - კატეგორია - მწვრთვანელი, წრიული რბოლების კვალიფიკაციით ერთ ადგილიანი ავტომობილების კლასში;

• **TR/C** - კატეგორია - მწვრთვანელი, წრიული რბოლების კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილების კლასში;

• **TR/R** - კატეგორია - მწვრთვანელი, საგზაო რბოლების კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილებში (რალი, აღმართის დამღევა);

• **TR/J** - კატეგორია - მწვრთვანელი, საყმაწვილო რბოლების კვალიფიკაციით კარტინგში;

• **TR/D** - კატეგორია - მწვრთვანელი, დრაგის და დრიფტის რბოლების კვალიფიკაციით;

• **TR/Off-Road** - კატეგორია - მწვრთვანელი, რთულად გავლადი რბოლების კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილებში (კროსი, რალი კროსი და ა.შ.);

• **TR/N** - კატეგორია - მწვრთვანელი, შტურმანის (კოპილოტი, კოდრაივერი, ნავიგატორი) კვალიფიკაციით ძარიან ავტომობილებში (რალი);

ლიცენზიის მსურველველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ნორმატივი:

1. FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული უნდა იყოს მრბოლელის ლიცენზია;

2. საქართველოს ან მისი წინამორბედი სხვა იურიდიული ფორმატის მქონე სახელმწიფოს (სსრკ) სპორტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ საქართველოს (სსრკ) ჩემპიონატის საავტომობილო სპორტში, პროფესიონალთა შორის, მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ლიცენზიის შესაბამისი ტიპის რბოლებში;

3. პირი უნდა იყოს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ვეტერანთა კავშირის წევრი;

4. დისციპლინის შესაბამისი სსსფ-ის კომისიის სარეკომენდაციო წერილი;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ც. სურათი (3X4).
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;

სარბოლო ტრასის ლიცენზია:

- P -პერმანენტული
 - NP - არაპერმანენტული
- (წარმოდგენილი იქნება დამატებითი დებულების სახით)*

საავტომობილო სკოლის ლიცენზია

- SC - ავტომობილის მართვის სკოლა (მართვის მოწმობის)
 - EX - კონტრაგარიული და ექსტრემალური მართვის სკოლა
- (წარმოდგენილი იქნება დამატებითი დებულების სახით)*

მექანიკოსის ლიცენზია:

Mechanic - კატეგორია - ფიზიკური პირი, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ კლასის ავტომობილს (ებს) მექანიკოსის სტატუსით უნდა ფლობდეს შესაბამის ლიცენზიას.

დოკუმენტები:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- ფოტო სურათის ელ. ვერსია;

უსაფრთხოების კარკასის მწარმოებლის ლიცენზია:

SCM - კატეგორიის ლიცენზია გაიცემა ისეთ იურიდიულ პირზე, რომელსაც გააჩნია წარმოების შესაბამისი ბაზა.

- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- ფედერაციის ტექნიკური კომისიის ინსპექტირების დამადასტურებელი საბუთი;
- მის მიერ გამოსაყენებელი მასალი სერტიფიკატი, მისი შემადგენლობის მითითებით;

უსაფრთხოების კარკასის მონტაჟის ლიცენზია:

SCI - კატეგორიის ლიცენზია გაიცემა ისეთ იურიდიულ პირზე, რომელსაც გააჩნია წარმოების შესაბამისი ბაზა და ჰყავს შემდუღებლის ისეთი ლიცენზიის მქონე პირი, როგორც ტიპის შედუღებაც საჭიროა აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად.

- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- ფედერაციის ტექნიკური კომისიის ინსპექტირების დამადასტურებელი საბუთი;
- შემდუღებლის ლიცენზიის ასლი;

მსაჯის ლიცენზია:

Tr - კატეგორია - ეს არის დამწყები პირი (სტაჟიორი). ლიცენზიის მფლობელს ეძლევა უფლება:

- შეასრულოს დამხმარეს ფუნქცია სსსფ-ს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ შეჯიბრებებზე.

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ც. სურათი (3X4);
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 16 წლის განცხადების შევსების მომენტისთვის;
- ლიცენზირებული მსაჯის (მინიმუმ D კატეგორიის) სარეკომენდაციო წერილი;

D-N – კატეგორია ოფიციალური პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული Tr კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- დაიკავოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ჩატარებულ შეჯიბრებებზე სსსფ-ს სპორტული კოდექსით განსაზღვრული შემდეგი პოზიციები:
 - ტექნიკური კონტროლიორი;
 - სარემონტო-გასამართი ზონის (ბოქსების) კონტროლიორი, დახურული პარკის მსაჯი, საწვავ-გასამართი ზონის მსაჯი;
 - მარშალი მედროშე;
 - სტარტის მსაჯი;
 - ფინიშის მსაჯი.

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ც. სურათი (3X4).
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული Tr კატეგორიის მოქმედი ან ვადაგასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 18 წლის;
- ერთ სპორტულ სეზონში Tr კატეგორიის ლიცენზიით მინიმუმ 3 შეჯიბრების გამოცდილება;
- სსსფ-ს საკანონმდებლო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;

C-N – კატეგორია - პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული D კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- დაიკავოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ჩატარებულ შეჯიბრებებზე სსსფ-ს სპორტული კოდექსით განსაზღვრული შემდეგი პოზიციები:
 - მონაწილეებთან ურთიერთობის მსაჯი;
 - ფაქტის მსაჯი;
 - შეჯიბრების მდივანი;
 - ქრონომეტრაჟისტი;
 - მარშალი დისტანციაზე;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ც. სურათი (3X4).
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული D კატეგორიის მოქმედი ან ვადაგასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 20 წლის;
- ერთ სპორტულ სეზონში D კატეგორიის ლიცენზიით მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- სსსფ-ს საკანონმდებლო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;

B-N – კატეგორია - პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული C კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- დაიკავოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ჩატარებულ შეჯიბრებებზე სსსფ-ს სპორტული კოდექსით განსაზღვრული შემდეგი პოზიციები:
 - მთავარი მსაჯი;
 - უსაფრთხოების კომისარი;
 - მარშრუტის (ტრასის) კომისარი;
 - ტექნიკური კომისარი;
- ასევე მას უფლება აქვს დაიკავოს შემდეგი პოზიციები:
 - მთავარი ქრონომეტრაჟისტი;
 - შეჯიბრების მთავარი მდივანი;
 - კავშირის ოფიცერი;
 - ექიმი;
- ჩაატაროს სწავლებები შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში და ჩაიბაროს საგამოცდო და სატესტო ნამუშევრები.

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ც. სურათი (3X4);
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული C კატეგორიის მოქმედი ან ვადაგასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 23 წლის;
- C კატეგორიის ლიცენზიით მსაჯობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- სსსფ-ს საკანონმდებლო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი;

- ტექნიკური ან უსაფრთხოების კომისრის კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება და სწავლება ფედერაციის შესაბამის კომისიაში და წარმოადგინოს შესაბამისი სწავლების სერტიფიკატი;
- ტექნიკური კომისრობის კანდიდატს წარადგენს სსსფ-ს ტექნიკური კომისია წერილობითი სახით;

A-N - კატეგორია - პირი, რომელსაც აქვს ყველა უფლება განსაზღვრული B კატეგორიის ლიცენზიით, გარდა ამისა აქვს უფლება:

- დაიკავოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ჩატარებულ შეჯიბრებებზე სსსფ-ს სპორტული კოდექსით განსაზღვრული შემდეგი პოზიციები:
 - შეჯიბრების დირექტორი;
 - შეჯიბრების ხელმძღვანელი;
 - სპორტული კომისარი;
 - სპორტული დელეგატი;
 - უსაფრთხოების დელეგატი;
 - ტექნიკური დელეგატი;
 - სამედიცინო დელეგატი;
- ასევე უფლება აქვს დაიკავოს შეჯიბრების დამკვირვებლის პოზიცია;
- ჩაატაროს სწავლებები შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში და ჩაიბაროს საგამოცდო და სატესტო ნამუშევრები.
- წარადგინოს საკანონმდებლო კომისიის სხდომაზე მსაჯი ან/და მსაჯთა ჯგუფი კატეგორიის გადაკვალიფიცირებისთვის;

დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ც. სურათი (3X4);
- სურათის ელექტრონული ვერსია;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- სსსფ-ს მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე გაცემული B კატეგორიის მოქმედი ან ვადაგასული ლიცენზია;

ნორმატივი:

- პირი უნდა იყოს არა უმცირეს 28 წლის;
- B კატეგორიის ლიცენზიით მსაჯობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
- სსსფ-ს სპორტული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

K-M1 - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალურ კარტინგის შეჯიბრებებში (სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული) კლასში MIKRO (8 ც/მ);

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერტიფიკატი;

- ან სსსფ-ის კარტინგის კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- დაბადების მოწმობის ასლი;
- მშობლების ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 7 (შესაძლოა შეუსრულდეს 7 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში) და არაუმეტეს 10 სრული წლისა (შესაძლოა შეუსრულდეს 10 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში).
- მრბოლელის წონა მთლიან ეკვიპირებასთან ერთად არ უნდა იყოს 25 კგ-ზე ნაკლები.

K-M2 - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალურ კარტინგის შეჯიბრებებში (სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული) კლასში MINI (15 ც/მ).

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან K-M1 კატეგორიის მოქმედი ან ერთი წლის ვადაგასული ლიცენზია;
- ან სსსფ-ის კარტინგის კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- დაბადების მოწმობის ასლი;
- მშობლების (მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის) ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე;
- FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 9 (შესაძლოა შეუსრულდეს 9 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში) და არაუმეტეს 12 სრული წლისა (შესაძლოა შეუსრულდეს 12 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში).
- მრბოლელის წონა მთლიან ეკვიპირებასთან ერთად არ უნდა იყოს 30 კგ-ზე ნაკლები.

K-J (Junior) - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალურ კარტინგის შეჯიბრებებში (სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული) კლასში Junior (23 ც/მ).

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან K-M2 კატეგორიის მოქმედი ან ერთი წლის ვადაგასული ლიცენზია;
- ან სსსფ-ის კარტინგის კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- დაბადების მოწმობის ასლი;
- არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლების (მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის) ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე;
- FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 13 წლისა (შესაძლოა შეუსრულდეს 13 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში) და არაუმეტეს 16 წლისა (შესაძლოა შეუსრულდეს 16 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში).
- მრბოლელის წონა მთლიან ეკვიპირებასთან ერთად არ უნდა იყოს 35 კგ-ზე ნაკლები.

K-S (Senior) - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალურ კარტინგის შეჯიბრებებში (სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული) კლასში Senior (30 ც/მ)

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან K-J კატეგორიის მოქმედი ან ერთი წლის ვადაგასული ლიცენზია;
- ან სსსფ-ის კარტინგის კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- დაბადების მოწმობის ასლი;
- არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლების (მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის) ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა საავტომობილო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე;
- FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა (შესაძლოა შეუსრულდეს 15 წელი სარბოლო სეზონის განმავლობაში)
- მრბოლელის წონა მთლიან ეკვიპირებასთან ერთად არ უნდა იყოს 40 კგ-ზე ნაკლები.

K-M3 (Masters) - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალურ კარტინგის შეჯიბრებებში (სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული) კლასში Masters (30 ც/მ)

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური, სერთიფიკატი ან K-S კატეგორიის მოქმედი ან ერთი წლის ვადაგასული ლიცენზია;
- ან სსსფ-ის კარტინგის კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა და მრბოლელის წონა მთლიან ეკვიპირებასთან ერთად არ უნდა იყოს 40 კგ-ზე ნაკლები.

K-D1 (DD2-KZ-KZ2) - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს ოფიციალურ კარტინგის შეჯიბრებებში (სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული) კლასში DD2 Senior/ Masters (34 ც/მ)

დოკუმენტები:

- სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული კარტინგის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან K-S კატეგორიის მოქმედი ან ერთი წლის ვადაგასული ლიცენზია;
- ან სსსფ-ის კარტინგის კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- ლიცენზიის მსურველი უნდა იყოს არანაკლებ 15 წლისა.
- მრბოლელის წონა მთლიან ეკვიპირებასთან ერთად არ უნდა იყოს 45 კგ-ზე ნაკლები.

სპეციალური მოთხოვნა:

სარბოლო წლის განმავლობაში დასაშვებია მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს ლიცენზიის კატეგორია.

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

M - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ორგანიზებულ წრიულ რბოლებში ძარიანი ავტომობილების კლასში და დრიფტში;

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა ან/და ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული ნორმატიული დოკუმენტი
- ან ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი;
- ან სსსფ-ის სატრეკო რბოლების კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;
- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების (მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის) თანხმობა მრბოლელის ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

- HONDA Civic 1500, BMW Compact 1900 კლასის ან ამ კლასების ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი ავტომობილით წრიული რბოლის ტრასაზე სსსფ-ს მიერ განსაზღვრული ნორმატიულ დროში მინიმუმ 3 -ჯერ ზედიზედ გავლა. სსსფ-ს მიერ აღიარებულ ნორმატიულ დროდ ითვლება ზემოთ მოცემული კლასის ავტომობილებით, კონკრეტულ ტრასაზე და კონკრეტული ამინდის პირობებში, ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებზე ნაჩვენებ საუკეთესო დროს დამატებული ამავე დროის 12%.

ნორმატივი დრიფტის ლიცენზიისთვის:

გამოქვეყნდება დამატებით.

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

E - კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ორგანიზებულ ნებისმიერი ტიპის შეჯიბრებზე, გარდა ღია თვლებიანი ბოლიდების კლასისა.

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა, ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
- ან სსსფ-ის სატრეკო რბოლების ან არასატრეკო რბოლების კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;

- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) ნოტარიულად დამტკიცებული მშობლების (მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის) თანხმობა საავტომობილო რბოლებში მონაწილეობაზე;
- 2 ფოტოსურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

1. FIA - ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია შესაბამისი ან ზემდგომი კატეგორიით ;
ან
2. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ექსტრემალური მართვის სკოლის სერთიფიკატი შესაბამისი შეფასებით;
ან
3. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებულ ოფიციალურ სამოყვარულო რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრებზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
 - ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ან
4. M კატეგორიის ლიცენზიით მინიმუმ 3 შეჯიბრებზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრებზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით) .
ან
5. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ კარტინგის რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრებაზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
 - ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მრბოლელის ეროვნული ლიცენზია:

F -კატეგორია - მრბოლელს ეძლევა უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით ორგანიზებულ ნებისმიერი ტიპის შეჯიბრებზე, ნებისმიერ კლასში (მათ შორის ღია თვლებიანის).

ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

დოკუმენტები:

- ავტომობილის მართვის მოწმობა, ექსტრემალური მართვის სკოლის მიერ გაცემული სპეციალური სერთიფიკატი ან FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
- ან სსსფ-ის სატრეკო რბოლების ან არასატრეკო რბოლების კომისიის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი;

- მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ჯანმრთელობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში (14 - დან 18 წლამდე) მშობლების (მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის) ნოტარიულად დამტკიცებული თანხმობა ლიცენზიის მიღებაზე;
- 2 ფოტო სურათი (3x4) და ამ სურათის ელექტრონული ვერსია;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;
- განაცხადი ლიცენზიის მიღებაზე;

ნორმატივი:

1. FIA-ს წევრი ნებისმიერი ეროვნული ფედერაციის მიერ ნებისმიერ დროს გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
ან
2. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ექსტრემალური მართვის სკოლის სერთიფიკატი;
ან
3. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ სამოყვარულო რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრებზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ან
4. M კატეგორიის ლიცენზიით:

მინიმუმ 3 შეჯიბრებზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრებზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
ან
5. სსსფ-ს მიერ ლიცენზირებული ოფიციალურ კარტინგის რბოლებზე:
 - 5 ჯერ მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (თითოეულ შეჯიბრებზე მინიმუმ 1 სტარტით და 1 ფინიშით).
ან
 - 2 ჯერ საპრიზო ადგილის მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი.
ან
 - 1 ჯერ გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.5) ლიცენზიების გაცემის ასაკობრივი ზღვრები.

მრბოლელის ყველა ეროვნული ლიცენზიის გაცემა გარდა კარტინგის ლიცენზიებისა ხორციელდება 14 სრული წლის დადგომის შემდეგ.

მონაწილის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ 18 წელს ზემოთ ასაკის პირებზე. აგრეთვე ამ ტიპის ლიცენზია გაიცემა იმ იურიდიულ პირებზე, რომელთაც წარმოადგინეს სსსფ-ს მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

A, B, C, D, Tr მსაჯის ლიცენზიები გაიცემა 16 წლის ასაკიდან პირებზე, ლიცენზიის კატეგორიაში მითითებული დადგენილი ასაკობრივი ნორმის შესაბამისად;

Mechanic - მექანიკოსის ლიცენზია გაიცემა 16 წლის ასაკიდან პირებზე;

EC - შტურმანის (კოპილოტი/ ნავიგატორი) ლიცენზია გაიცემა 16 წლის ასაკიდან;

1.6) დაზღვევა

ყველა მრბოლელმა ადმინისტრაციული შემოწმების დროს, უნდა წარმოადგინოს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ბარათი, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე მოქმედების ვადით, გამონაკლის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს მოკლევადიანი დაზღვევა რომლის მოქმედების პერიოდი ემთხვევა სპორტული ღონისძიების ჩატარების თარიღს.

1.7) ლიცენზიის მოქმედების ვადა

სსსფ-ს ყველა ლიცენზიის მოქმედების ვადა განისაზღვრება გაცემის დღიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.8) ლიცენზიის ღირებულება.

ლიცენზიის ღირებულების გადასახადი განისაზღვრება სსსფ-ს მიერ და გამოქვეყნდება დანართის სახით სპორტული სეზონის დაწყებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.

ორგანიზატორის ლიცენზიის ფასი არ აღემატება მრბოლელის საერთაშორისო A კატეგორიის ლიცენზიის ფასს, განისაზღვრება და დგინდება სსსფ-ს მიერ. გამოიცემა დამატებით დოკუმენტად;

1.9) ლიცენზიის მოქმედების არეალი.

სსსფ-ს მიერ გაცემული ლიცენზიები მოქმედებს ყველა იმ შეჯიბრებზე რომელიც მოცემულია სსსფ-ს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში.

საქართველოს საავტომობილო
სპორტის ფედერაცია
ოქტომბერი 2019 წელი